

კორესპონდენტი 070353

პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

კორესპონდენტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საინფორმაციო სააგენტოებისა და პრესსამსახურების მუშაობაში. იგი ამზადებს მოკლე ტექსტურ ინფორმაციებს, ინტერვიუებს და პრესრელიზებს საინფორმაციო სააგენტოს ყოველდღიური გამოშვებისათვის და/ან პრესსამსახურებისათვის. მოიძიებს, გადაამოწმებს და ამზადებს ტექსტურ საინფორმაციო პროდუქციას.

II. დასაქმების სფერო

- საინფორმაციო სააგენტოები;
- ინტერნეტ მედიები;
- დარგობრივი პრესსამსახურები.

III. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

კორესპონდენტის კვალიფიკაციას კურსდამთავრებული იღებს პროფესიული განათლების მესამე საფეხურზე.

კორესპონდენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 30 კრედიტს: საიდანაც 12 კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს, 18 კრედიტი – სასწავლო პრაქტიკას.

კორესპონდენტის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს დარგის/ქვედარგის ან დარგთაშორისი სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოვების თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე). არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით აცნობიერებს ცოდნის განახლებულ ფარგლებს.</p>	<p>იცის: ჟურნალისტიკის ძირითადი პრინციპები, ჟურნალისტური ეთიკა, ინფორმაციის მოპოვებისა და გადამუშავების, ინტერვიუს დიქტოფონზე ჩაწერისა და გაშიფვრის წესები. მედიის დანიშნულება და ჟურნალისტიკის ჟანრები;</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>დამოუკიდებლად გეგმავს, ახორციელებს და ზედამხედველობას უწევს ინოვაციურ კვლევას; შეუძლია შეიმუშაოს ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდები და მიდგომები, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში.</p>	<p>შეუძლია რედაქტორის დავალებით მოიპოვოს ინფორმაცია; მოამზადოს „ახალი ამბის“ მოკლე ტექსტი; ჩაწეროს ინტერვიუ დიქტოფონზე; გაშიფროს და გამოიყენოს. შეუძლია გამოითხოვოს და გამოიყენოს საჯარო ინფორმაცია დაამუშაოს ის და შეადგინოს მოკლე რელიზი.</p>
<p>დასკვნის გაკეთების უნარი</p>	<p>შეუძლია ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარებას უწყობს ხელს; პრობლემის გადაჭრისათვის დამოუკიდებლად იღებს სწორ და ეფექტურ გადაწყვეტილებას.</p>	<p>შეუძლია რედაქტორის დავალების შესასრულებლად მოვლენის ადგილზე განსაზღვროს ინფორმაციის აქტუალობა, თავად მიიღოს ამა თუ იმ საკითხზე კომპეტენტურ პირთან (მოვლენის მონაწილე, თვითმხილველი, ექსპერტი, ოფიციალური პირი), კონტაქტის დამყარების, მისგან ინფორმაციის მოპოვების და ინტერვიუს დიქტოფონზე ჩაწერის გადაწყვეტილება.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენებზე.</p>	<p>პროფესიულ საქმიანობაში იყენებს ინტერნეტს, სოციალურ ქსელს, ელექტრონული ფოსტას და ტელეფონს (მათ შორის ელემენტარულ უცხოურ ენაზე), მოიპოვებს ინფორმაციას ამა თუ იმ საჯარო ორგანიზაციის და კერძო სტრუქტურის ვებგვერდიდან; შექმნის და მუდმივად განახლებს კონტაქტების ბაზას.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანის ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.</p>	<p>აქვს პედაგოგის მითითებული სახელმძღვანელოების და აუცილებელი ლიტერატურის მოძიების და სასწავლო პროცესში გამოყენების უნარი.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>იკვლევს ღირებულებების დამკვიდრების გზებს და მათ დასამკვიდრებლად შეიმუშავებს ინოვაციურ მეთოდებს.</p>	<p>ინფორმაციას იყენებს საავტორო უფლებების და კანონით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნების დაცვით; იცის ჟურნალისტური ეთიკის დანიშნულება, მნიშვნელობა და პროფესიულ საქმიანობაში იცავს მას.</p>